



შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

**აკადემიური და მოწვეული პერსონალის არჩევის წესი**  
დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 14/06/2016წ. - გადაწყვეტილება №5 (დანართი №3)

**დამტკიცებულია**

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი წაკითხული და მიღებულია.

ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების განხორციელებას.

მოამზადა: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური \_\_\_\_\_

შეამოწმა: ხარისხის მთლიანი მართვის საბჭო \_\_\_\_\_

დაამტკიცა: აკადემიური საბჭო \_\_\_\_\_

დოკუმენტის No: IBSU.R19G

ვერსია: 3.00

განახლების თარიღი:

29/06/2017

დამტკიცების თარიღი:

14/06/2016

შეუმოწმებელი ვერსია

შემოწმებული ვერსია

შსსუ-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ აღნიშნულ დოკუმენტს აქვს საბოლოო განახლების ნომერი.

ცვლილების შეტანის სურვილის შემთხვევაში, ხარისხის მართვის საბჭოს წარუდგინეთ დოკუმენტის ცვლილების მოთხოვნის ფორმა.

**შინაარსი**

შეტანილი ცვლილებები.....	4
ცვლილებების ნუსხა .....	5
კონკურსის ჩატარების წესის შესახებ. ....	5
აკადემიური თანამდებობების მაძიებლების მიმართ მოთხოვნების შესახებ.....	5
მოწვეული ლექტორის პოზიციის დაკავების მსურველთა მიმართ მოთხოვნების შესახებ.....	5
მუხლი 1. საგანი და მოქმედების სფერო .....	6
მუხლი 2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი .....	6
მუხლი 3. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი.....	6
მუხლი 4. კონკურსის ჩატარების წესი .....	7
მუხლი 5. მოთხოვნები აკადემიური თანამდებობების მაძიებლების მიმართ.....	8
მუხლი 6. მოთხოვნები მოწვეული ლექტორის პოზიციის დაკავების მსურველთა მიმართ .....	10
მუხლი 7. წარმოსადგენი დოკუმენტები.....	11
მუხლი 10. დასკვნითი დებულებები.....	16

შეტანილი ცვლილებები

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	გადაწყვეტილების №	თარიღი
1.	აკადემიური საბჭო	1	12.01.2017
2.	აკადემიური საბჭო	8	29.06.2017

თავდაპირველი რედაქცია: 14.06.2016- #5

ცვლილებების ნუსხა

#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
01	12.01.2017	5	5.1 პროფესორის თანამდებობაზე არჩევის ვადად განისაზღვრა 5 წელი. განსაკუთრებული სამეცნიერო ან/და პროფესიული მიღწევების მოთხოვნა გაუქმდა, 5 წლის ინტერვალით ატესტაციის სავალდებულოობა გაუქმდა.
02	12.01.2017	9	9.2 პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად განისაზღვრა 9.2.1-9.2.7 პუნქტების მოთხოვნებიდან სულ მცირე ორის დაკმაყოფილება.
03	12.01.2017	9	წესის 9.22 პუნქტი ამოღებულია.
04	29.06.2017	2	აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემის სემესტრულად განახლებადობის შესახებ.
05	29.06.2017	4	კონკურსის ჩატარების წესის შესახებ.
06	29.06.2017	5	აკადემიური თანამდებობების მამიებლების მიმართ მოთხოვნების შესახებ.
07	29.06.2017	6	მოწვეული ლექტორის პოზიციის დაკავების მსურველთა მიმართ მოთხოვნების შესახებ.
08	29.06.2017	7	აკადემიური თანამდებობის პოზიციის დაკავების მსურველი პირების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების შესახებ.
09	29.06.2017	8	აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.
10	29.06.2017	9	აკადემიური თანამდებობის დაკავების კრიტერიუმების შესახებ.
11	29.06.2017	10	დასკვნით დებულებებში ცვლილებების შეტანის შესახებ.
12	29.06.2017	11	ამოღებულია.
13	29.06.2017	12	ამოღებულია.

### მუხლი 1. საგანი და მოქმედების სფერო

წინამდებარე დებულება არეგულირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სტატუსს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“), განსაზღვრავს აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორის თანამდებობის დაკავების წესებს, კონკურსის ჩატარების წესს, განმცხადებლებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, აკადემიური პერსონალის შეფასების კრიტერიუმებსა და უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეული პერსონალთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

### მუხლი 2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

2.1. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს მიეკუთვნება:

- ა) პროფესორი - უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში;
- დ) ასისტენტი - ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

2.2. აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო.

2.3. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა განახლებადია სემესტრულად.

[გვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის #05 გადაწყვეტილებით.](#)

### მუხლი 3. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

3.1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შესაძლებელია მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

3.2. ინფორმაცია კონკურსის ჩატარების თარიღისა და პირობების შესახებ (ვაკანტური თანამდებობა, მიმართულება/დარგი და/ან ქვედარგი, უნარ-ჩვევები, მახასიათებლები, ფაკულტეტი, პოზიციის ვადა, მოთხოვნები (მაგ. გამოცდილება, უცხო ენის ცოდნა და ა.შ), წარმოსადგენი დოკუმენტები, ვაკანსიების რაოდენობა) ქვეყნდება ბეჭდვით ორგანოში, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და უნივერსიტეტის სხვა თვალსაჩინო ადგილას საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით, უნივერსიტეტში საბუთების წარდგენამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე. საბუთების ჩაბარების პერიოდი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

#### მუხლი 4. კონკურსის ჩატარების წესი

4.1. კონკურსი შეიძლება გამოცხადდეს უნივერსიტეტში ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, ასევე წინა კონკურსით გაფორმებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემთხვევაში.

4.2. კონკურსის ჩატარების საჭიროებას ადგენს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს აკადემიური საბჭო, რომელიც აგრეთვე იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის გამოცხადების შესახებ. რექტორის ბრძანებით განისაზღვრება ბეჭდვითი ორგანოს სახელწოდება და თარიღი.

4.3. საკონკურსო კომისიის წევრებს (არანაკლებ 3) და კომისიის სამუშაო პერიოდს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი შესაბამისი ბრძანებით.

4.4. კომისია უნდა შედგებოდეს იმ მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციალისტებისაგან (რაც დასტურდება მათი კვალიფიკაციით, პუბლიკაციებითა ან/და სწავლების გამოცდილებით), რომელიც მითითებულია განცხადებაში. კომისიის წევრი შესაძლებელია იყოს მხოლოდ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, ავტორიზებული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ან პროფესორი.

4.5. კონკურსის გამოცხადების შესახებ საგაზეთო განცხადება, წინამდებარე მუხლის 4.9 პუნქტის მიხედვით აკადემიური თანამდებობების მამიებლთა დარეგისტრირებული განცხადებები (შესაბამისი საბუთებით) და აღნიშნული დებულება მიეწოდება საკონკურსო კომისიის ყველა წევრს.

4.6. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

4.7. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით.

4.8. კომისია ამოწმებს კანდიდატის შესაბამისობას „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ დებულების მოთხოვნებთან (R19F05). გადაწყვეტილების მიღება ხდება წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე (საცდელი ლექცია მხედველობაში მიიღება მხოლოდ არსებობის შემთხვევაში).

4.9. კონკურსი ტარდება სამ ეტაპად.

4.9.1. პირველ ეტაპზე მიმღები კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (თავმჯდომარე), კანცელარიისა და ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსი და შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, დაარეგისტრირებს იმ კანდიდატთა განაცხადებს, რომელთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს შესაბამისი აკადემიური თანამდებობისათვის. მიმღები კომისია დაარეგისტრირებულ განაცხადებს, შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით, გადასცემს საკონკურსო კომისიას შემდგომი განხილვის მიზნით.

4.9.2. მეორე ეტაპზე საკონკურსო კომისია განიხილავს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით მისთვის გადაცემულ განცხადებებს თანდართული დოკუმენტაციით, აფასებს შესაბამისი ქულობრივი მაჩვენებლით, ამ დებულების მე-8 მუხლის თანახმად და ავსებს სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ანგარიშის ფორმას (R19F05).

4.9.3. მესამე ეტაპზე საკონკურსო კომისია ატარებს გასაუბრებას დარეგისტრირებულ კანდიდატებთან. კომისია უფლებამოსილია კანდიდატს მოსთხოვოს საცდელი ლექციის ჩატარება. საცდელი ლექცია ტარდება პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლების ენაზე.

4.10. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებ(ებ)ი მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ, ხოლო შემდგომ - რექტორის ბრძანებით.

4.11. რექტორის აქტის გამოცემის შემდეგ, განმცხადებლებს ეცნობებათ კონკურსის შედეგების შესახებ. აკადემიურ საბჭოს მიერ დამტკიცებულ კანდიდატებთან, ფორმდება შრომითი ხელშეკრულება (R19F04) და გაიცემა ცნობა აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ (R19F23). თუ კანდიდატი უკმაყოფილოა კონკურსის შედეგით, იგი უფლებამოსილია გაასაჩივროს გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით \(ოქმი #08\).](#)*

## **მუხლი 5. მოთხოვნები აკადემიური თანამდებობების მაძიებლების მიმართ**

5.1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 5 (ხუთი) წლის ვადით, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 (ექვსი) წლის გამოცდილება, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასოცირებულ პროფესორად/პროფესორად მუშაობის არანაკლებ 3 (სამი) წლიანი გამოცდილება, პროგრამის/სასწავლო კურსის შესატყვისი უცხო ენის ცოდნის შესაბამისი დონე (საჭიროების შემთხვევაში) და აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

5.1<sup>1</sup> პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს უვადოდ პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის 5.1 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული პროფესიული მიღწევები ან/და სამეცნიერო მიღწევები (მაგალითად, აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და სხვა); ამ შემთხვევაში პროფესორმა უნდა გაიაროს ატესტაცია ამ დებულებით განსაზღვრული წესით ყოველ ხუთ წელიწადში. ატესტაციის გაუვლელია წარმოადგენს უნივერსიტეტში პროფესორის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. ამასთან, პირი ატესტაციას გადის მის თანამდებობაზე არჩევისათვის დადგენილი წესით. მისთვის სტატუსის გაგრძელების საკითხს, ატესტაციის შედეგების საფუძველზე, წყვეტს აკადემიური საბჭო.



5.2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 5 (ხუთი) წლის ვადით, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 (სამი) წლის გამოცდილება, პროგრამის/სასწავლო კურსის შესატყვისი უცხო ენის ცოდნის შესაბამისი დონე (საჭიროების შემთხვევაში) და აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

5.3. ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 4 (ოთხი) წლის ვადით, რომელსაც აქვს პროგრამის/სასწავლო კურსის შესატყვისი უცხო ენის ცოდნის შესაბამისი დონე (საჭიროების შემთხვევაში) და აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

5.4. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 4 წლის ვადით, რომელსაც აქვს პროგრამის/სასწავლო კურსის შესატყვისი უცხო ენის ცოდნის შესაბამისი დონე (საჭიროების შემთხვევაში) და აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

5.5. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების სპეციფიკის გათვალისწინებით, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება განისაზღვროს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ ამ მუხლის 5.1-5.4 პუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დადასტურდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია და ფლობს სხვა მიმართულების დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს, ხოლო ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დაკავების სურვილის შემთხვევაში არის სხვა მიმართულების სადოქტორო პროგრამის სტუდენტი.

5.6. პროფესიული ნიშნით აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის, კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) შესაბამისი მიმართულებით მუშაობის გამოცდილება (სავალდებულოა მოიცავდეს მენეჯერულ პოზიციას) (ასისტენტისათვის სულ მცირე 3 (სამი) წელი, ასისტენტ-პროფესორისათვის სულ მცირე 5 (ხუთი) წელი, ასოცირებული პროფესორისათვის სულ მცირე 7 (შვიდი) წელი და პროფესორისათვის სულ მცირე 10 (ათი) წელი) და

ბ) ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში პუბლიკაციები შესაბამისი მიმართულებით (ასისტენტისათვის არ არის სავალდებულო, ასისტენტ-პროფესორისათვის სულ მცირე ერთი პუბლიკაცია, ასოცირებული პროფესორისათვის სულ მცირე ორი პუბლიკაცია, პროფესორისათვის სულ მცირე სამი პუბლიკაცია) და/ან დარგის შესაბამისი სპეციალური მომზადება, რომელიც განისაზღვრება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

5.7. (ამოღებულია)



5.8. თუ პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლების ენა არის უცხო ენა, კანდიდატი ვალდებულია შესაბამის ენაზე ჩაატაროს საცდელი ლექცია (გარდა იმ შემთხვევისა როცა იგი აკმაყოფილებს 5.9 და 5.10 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს).

5.9. კანდიდატი, რომელსაც აქვს მოქმედი B2 დონის შესაბამისი უცხო ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი და/ან ბოლო 3 (სამი) წლის განმავლობაში მოპოვებული აქვს ბაკალავრის/მაგისტრის/ დოქტორის აკადემიური ხარისხი უცხოენოვანი პროგრამის დამთავრების შედეგად, ან არის იმ ქვეყნის მოქალაქე, სადაც ქვეყნის ოფიციალური ენა არის შესაბამისი უცხო ენა, არ არის ვალდებული ჩაატაროს საცდელი ლექცია უცხო ენის ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნებისათვის.

5.10. კანდიდატი, რომელსაც ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უცხოენოვან პროგრამაზე ჩატარებული აქვს ლექციები, არანაკლებ 2 (ორი) სემესტრის განმავლობაში, არ არის ვალდებული ჩაატაროს საცდელი ლექცია უცხო ენის ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნებისათვის.

5.11. უნივერსიტეტსა და აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ პირს შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პირი იმავდროულად შეიძლება წარმოადგენდეს უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პირს, რომელიც უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში და უნივერსიტეტში ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო მისი კვლევის შედეგები ეთვლება უნივერსიტეტს, ჩართულია უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევასა და აკადემიურ/სამეცნიერო ხელმძღვანელობას. აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პირის უნივერსიტეტის აფილირებასთან დაკავშირებულ საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

*[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით \(ოქმი #08\).](#)*

## **მუხლი 6. მოთხოვნები მოწვეული ლექტორის პოზიციის დაკავების მსურველთა მიმართ**

6.1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე (მოწვეული ლექტორი).

6.2. მოწვეულ ლექტორად შესაძლებელია აყვანილ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს უცხო ენის შესაბამისი ცოდნა (საჭიროების შემთხვევაში) და აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს. გამონაკლის შემთხვევაში, მოწვეულ ლექტორად შესაძლებელია აყვანილ იქნეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს დოკუმენტურად დადასტურებული პროფესიული გამოცდილება და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

6.3. განმცხადებლის შეფასება ხდება შიდა კომისიის მიერ. კომისიის შემადგენლობაში შედიან: უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე), ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის დეკანი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი საფეხურისა და პროგრამის სტუდენტები. კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება ყველა წევრი. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გამამყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

6.4. პირველ ეტაპზე კომისია განიხილავს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ საბუთებს და ადგენს მის შესაბამისობას ამ დებულების მოთხოვნებთან. კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, კანდიდატი გადადის მეორე ეტაპზე. კომისიის გადაწყვეტილების შესახებ ივსება მოწვეული ლექტორების შესარჩევი კომისიის ფორმა (R19F26).

6.5. მეორე ეტაპზე მეორე კომისია კანდიდატთან ატარებს გასაუბრებას. გასაუბრების შემდეგ, კომისიის გადაწყვეტილებით, კანდიდატს შესაძლებელია მოეთხოვოს საცდელი ლექციის ჩატარება (საცდელი ლექცია ტარდება პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლების ენაზე). საცდელი ლექციის შეფასება ხდება საცდელი ლექციის შეფასების ფორმით განსაზღვრული ინდიკატორების მიხედვით. ამავე ფორმაში ეთითება კომისიის გადაწყვეტილება საცდელი ლექციის დადებითად/უარყოფითად შეფასების შესახებ.

6.6. პირზე, რომლის კანდიდატურას შესაბამისი კომისია განიხილავს მოწვეული ლექტორის თანამდებობაზე, ვრცელდება აგრეთვე ამ დებულების 5.8 - 5.10 მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნები.

6.7. მოწვეულ ლექტორთან შრომითი ხელშეკრულება (R19F07 და R19F21) იდება რექტორის მიერ, დეკანის წარდგინების საფუძველზე, ამ მუხლით განსაზღვრული კომისიის გადაწყვეტილებების გათვალისწინებით.

*[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით. \(ოქმი #08\).](#)*

## **მუხლი 7. წარმოსადგენი დოკუმენტები**

7.1. აკადემიური თანამდებობის პოზიციის დაკავების მსურველმა პირებმა განცხადებით (R19F20) უნდა მიმართონ რექტორს და წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- ა) საინფორმაციო ფორმა - R19F18 (ივსება კანცელარიაში);
- ბ) პირადობის/ID ბარათის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული პასპორტის თარგმანი/ბინადრობის ნებართვის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
- გ) ორი ფოტო-სურათი (3X4) - ამობეჭდილი და ელექტრონული ვერსია (CD დისკზე ან ელ-ფოსტით);
- დ) ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი დიპლომის ასლი ან/და ნოტარიულად დამოწმებული უცხო ქვეყნის მიერ გაცემული დიპლომის/ შესაბამისი სერთიფიკატის თარგმანი. იმ შემთხვევაში თუ დიპლომი ჯერ არ გაცემულა, დამთავრების ცნობის წარდგენა აუცილებელია.

ამასთან, უცხო ქვეყნის მიერ გაცემული დიპლომი აღიარებულ უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და წარმოდგენილ იქნეს აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი ცნობა;

ვ) CV ქართულ და/ან ინგლისურ ენაზე;

ზ) სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ანგარიში (R19F05);

თ) დარგის შესაბამისი სამეცნიერო შრომებისა და პუბლიკაციების სია და მათი ასლები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ი) სილაბუსი (R3F01): ქართულ და ინგლისურ ენაზე (თუ სასწავლო კურსი შემოთავაზებულია ინგლისურ ენაზე) ან ქართულ ენაზე (თუ სასწავლო კურსი შემოთავაზებულია ქართულ ან თურქულ ენაზე).

კ) ამონაწერი ან ცნობა ყოფილი/ამჟამინდელი სამსახურიდან (შხსუ-ს გარდა);

ლ) ტრენინგებსა და კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერთიფიკატი (არსებობის შემთხვევაში);

მ) შრომის წიგნაკი (არსებობის შემთხვევაში);

ნ) უცხო ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატის ასლი/უცხო ენაზე მიღებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (საჭიროების შემთხვევაში). უცხო ენაზე გაცემული დოკუმენტის შემთხვევაში - სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი და ასლი;

ო) აკადემიური თანამდებობის პოზიციის დაკავების ვაკანსიისთვის დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისი სხვა დოკუმენტაცია;პ) პროფესიული ნიშნის დამადასტურებელი დოკუმენტები წინამდებარე დებულების მე-5 მუხლის 5.6-5.7 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევაში.

7.2. დებულების 7.1 პუნქტში მითითებული დოკუმენტები წარდგენილ უნდა იქნეს როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით.

7.3. მოწვეული ლექტორი ვალდებულია უნივერსიტეტს განაცხადთან ერთად წარუდგინოს ამ მუხლის 7.1 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, გარდა ამავე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტისა.

[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით \(ოქმი #08\)](#)

## **მუხლი 8. აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლება**

8.1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა ფასდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ყოველი აკადემიური წლის/სემესტრის ბოლოს, საქმიანობის შეფასების ფორმით, რომელიც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიმართვის საფუძველზე, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლოა გახდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.

8.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;

გ) ეთიკის კოდექსის დარღვევა;

დ) დისციპლინური ნორმების უხეში და სისტემატური დარღვევა;

ე) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა;

ვ) აკადემიური საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა ზედიზედ ორი წლის განმავლობაში;

ზ) წინამდებარე დებულების მე-5 მუხლით დადგენილი წესით, შესაბამის ვადაში ატესტაციის გაუვლელობა;

თ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველები.

[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით \(ოქმი #08\).](#)

### **მუხლი 9. აკადემიური თანამდებობის დაკავების კრიტერიუმები**

9.1. აკადემიური პერსონალის თანამდებობის დაკავებისათვის, კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) დოქტორის აკადემიური ხარისხი (გარდა ასისტენტისა);

ბ) სამეცნიერო - პედაგოგიური საქმიანობის სტაჟი (გარდა ასისტენტისა და ასისტენტ-პროფესორისა);

გ) უცხო ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე (საჭიროების შემთხვევაში);

დ) ლექციის წარმართვისათვის აუცილებელი უნარების არსებობა (დგინდება გასაუბრებისა და/ან საცდელი ლექციის საფუძველზე);

ე) პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის კანდიდატის მიერ მინიმუმ 200 ქულის დაგროვება (სულ მცირე 100 ქულა უნდა მოგროვდეს აკადემიური პუბლიკაციების/წიგნების ხარჯზე);

ვ) ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის კანდიდატის მიერ მინიმუმ 100 ქულის დაგროვება (სულ მცირე 50 ქულა უნდა მოგროვდეს აკადემიური პუბლიკაციების/წიგნების ხარჯზე);

ზ) ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის კანდიდატის მიერ მინიმუმ 50 ქულის დაგროვება (სულ მცირე 25 ქულა უნდა მოგროვდეს აკადემიური პუბლიკაციების/წიგნების ხარჯზე);

თ) ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის კანდიდატის მიერ სულ მცირე 20 ქულის დაგროვება (სულ მცირე 10 ქულა უნდა მოგროვდეს აკადემიური პუბლიკაციების/წიგნების ხარჯზე).

9.2 პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის, 9.1 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების დაკავების გარდა, სავალდებულოა კანდიდატმა დააკმაყოფილოს 9.3. პუნქტიდან სულ მცირე ნებისმიერი ორი კრიტერიუმი.

9.3 პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად განსაზღვრული დამატებითი სავალდებულო კრიტერიუმები:

ა) საერთაშორისო ციტირების ინდექსის მქონე ჟურნალში სულ მცირე 1 სტატიის გამოქვეყნება (ნაბეჭდი ან ელექტრონული);

ბ) გამოცემული წიგნის (მისი მეცნიერული ღირებულების მიხედვით, რომელიც გამოქვეყნდა საერთაშორისო გამომცემლობის ან უნივერსიტეტის მიერ) ავტორობა (წიგნის მოცულობა არის მინიმუმ 100 გვერდი და არ არის დაფუძნებული დისერტაციაზე);

გ) საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი/საგანმანათლებლო პროექტის ხელმძღვანელობა;

დ) საზღვარგარეთის ავტორიზებულ (მასთან გაიგივებულ) უმაღლეს საგანმანათლებლო/კვლევით დაწესებულებაში სასწავლო ან/და კვლევითი გამოცდილება;

ე) დაცული სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელობა;

ვ) ციტირების ინდექსის/h-ინდექსი არანაკლებ 3 მაჩვენებელი;

ზ) საერთაშორისო სამეცნიერო ჯილდო/პატენტი.

თ) მიმართულების შესაბამისი განსაკუთრებული პროფესიული მიღწევები, რომლებიც ფასდება კომისიის მიერ, წინამდებარე წესის მე-5 მუხლის 5.1<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

9.4. კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ბოლო 5 (ხუთი) კალენდარული წლის განმავლობაში განხორციელებული მიმართულების/დარგის შესაბამისი სამეცნიერო-პედაგოგიური აქტივობა.

9.5. აკადემიურ თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

9.5.1. გამოქვეყნებული სტატიები:

ა) SCI (სამეცნიერო ციტირების ინდექსი), SSCI (სოციალურ მეცნიერებათა ციტირების ინდექსი), HCI (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ციტირების ინდექსი) ინდექსების მქონე ჟურნალი – 40 ქულა;

ბ) სხვა საერთაშორისო რეფერირებადი ინდექსირებადი ჟურნალი (ნაბეჭდი და ელექტრონული) – 20 ქულა;

გ) სხვა სამეცნიერო, საკონფერენციო და ზოგიერთ პროფესიულ ჟურნალები/კრებულში, საკონფერენციო მასალები – 10 ქულა;

დ) საერთაშორისო კონფერენციის თეზისი -5 ქულა.

9.5.2. გამოქვეყნებული წიგნები:

ა) წიგნი (მისი მეცნიერული ღირებულების მიხედვით), რომელიც გამოქვეყნდა ცნობილი საერთაშორისო გამომცემლობის ან უნივერსიტეტის მიერ (გარდა დისერტაციის მასალაზე დაფუძნებული წიგნისა) – 100 ქულა;



- ბ) წიგნი (მისი მეცნიერული ღირებულების მიხედვით), რომელიც გამოქვეყნდა ეროვნული გამომცემლობის მიერ (გარდა დისერტაციის მასალაზე დაფუძნებული წიგნისა) – 50 ქულა;
- ბ) საზღვარგარეთ გამოქვეყნებული, დისერტაციაზე დაფუძნებული მონოგრაფია – 10 ქულა;

ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, როდესაც პუბლიკაციას/წიგნს ჰყავს რამდენიმე ავტორი, კანდიდატი მიიღებს მთელ ქულას, ხოლო ნათარგმნი წიგნები ფასდება წიგნების ნაწილში მოყვანილი შესაბამისი კატეგორიის ქულათა ნახევრით.

**9.5.3. რედაქტირება და რეფერირება:**

- ა) რეფერირებული ან პროფესიული ჟურნალის მთავარი რედაქტორობა – 20 ქულა;
- ბ) რეფერირებული ან პროფესიული სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრობა ან რეფერირება – 10 ქულა;
- გ) საზღვარგარეთ გამოცემული წიგნის რედაქტირება - 20 ქულა;
- დ) საქართველოში გამოცემული წიგნის რედაქტირება - 10 ქულა.

**9.5.4. საგანმანათლებლო საქმიანობა:**

- ა) ყოველი სასწავლო კურსი (ჯგუფების რაოდენობის მიუხედავად), ჩატარებული სადოქტორო საფეხურზე – 9 ქულა;
- ბ) ყოველი სასწავლო კურსი (ჯგუფების რაოდენობის მიუხედავად), ჩატარებული მაგისტრატურის საფეხურზე - 7 ქულა;
- გ) ყოველი სასწავლო კურსი (ჯგუფების რაოდენობის მიუხედავად, ჩატარებული ბაკალავრიატის საფეხურზე) – 5 ქულა;
- დ) სადოქტორო საფეხურზე თითოეული სტუდენტის დისერტაციის ხელმძღვანელობა (დაცული დისერტაციისთვის)– 10 ქულა;
- ე) სამაგისტრო საფეხურზე თითოეული სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა (დაცული ნაშრომისთვის) – 5 ქულა.

**9.5.5. მიმდინარე ან დასრულებული საგანმანათლებლო/ კვლევითი პროექტები:**

- ა) საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული პროექტის ხელმძღვანელობა – 20 ქულა;
- ბ) საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ პროექტში მონაწილეობა – 10 ქულა;
- გ) ეროვნული ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული პროექტის ხელმძღვანელობა – 10 ქულა;
- დ) ეროვნული ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ პროექტში მონაწილეობა – 5 ქულა.

**9.5.6. სამეცნიერო - პედაგოგიური ჯილდო/პატენტი:**

- ა) საერთაშორისო ჯილდო – 20 ქულა;
- ბ) ეროვნული ჯილდო/პატენტი - 10 ქულა.

**9.5.7. სამეცნიერო - პედაგოგიური ტრენინგები:**

- ა) ტრენინგში მონაწილეობა (დამადასტურებელი მოწმობა/სერტიფიკატის არსებობით) – 3 ქულა;
- ბ) ტრენინგის ჩატარება (დამადასტურებელი მოწმობის/სერტიფიკატის არსებობით) – 10 ქულა.

9.5.8. სილაბუსის/სილაბუსების შეფასება ხდება მისი შინაარსის, სწავლის შედეგებისა და სწავლების მეთოდების ადეკვატურობით.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით (ოქმი #08).*

#### **მუხლი 10. დასკვნითი დებულებები**

10.1. საკითხები, რომელიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სხვა დებულებების შესაბამისად.

10.2. წინამდებარე დებულებაში ცვლილება შედის მისი მიღებისათვის დადგენილი წესით.

10.3. წინამდებარე დებულება ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.

10.4. წინამდებარე დებულების შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით (ოქმი # 08).*

#### **მუხლი 11. (ამოღებულია)**

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით (ოქმი # 08).*

#### **მუხლი 12. (ამოღებულია)**

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით (ოქმი # 08).*





*უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს შსსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.*

---

*შსსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.*

---

**გამოსცა:**

**შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131

თბილისი, საქართველო

[www.ibsu.edu.ge](http://www.ibsu.edu.ge)

[contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)

